N 109 14/04/2016

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.03.2016 წ.-დან 16.04.2016-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

საქმიანობას წარვმართავ 2016 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს ბიუროს მიერ 2016 წლის 31 იანვარს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია ორი სხდომა, რომლებზეც განიხილა საკითხები:

1. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის

პროექტის შესახებ.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ მიერ გაწეული მუშაობისა და მომავალი ღონისძიებების თაობაზე“ დირექტორ ავ.სირბილაშვილის ინფორმაციის შესახებ.

სხდომაზე მოკლედ მიმოვიხილეთ კანონპროექტის ძირითადი მუხლები და პუნქტები და ვისაუბრეთ მათ მნიშვნელობაზე როგორც ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესების, ასევე ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხითაც. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მარეგულირებელი ერთიანი სამართლებროვი აქტისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მარეგულირებელი ერთიანი სტანდარტისა და პრინციპების არ არსებობამ კანონპროექტის შემუშავების პროცესის აუცილებლობა გამოიწვია, რომელსაც საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა უხელმძღვანელა და ის პარლამენტში უკვე ინიცირებულია. მე საჭიროდ მივიჩნიე ადგილობრივ დონეზე კანონპროექტის დეტალური განხილვა სკოლამდელი

დაწესებულებების მენეჯერების ჩართულობით გამათულიყო, რადგან მათ ყველზე უკეთ იციან თუ რა პრობლემები აწუხებს სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებს და რა მიმართულებეით უნდა იმუშავოს ხელისუფლებამ.

კომისიის წევრებმა და დამსწრეებმა ვიმსჯელეთ დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე, სადაც აღინიშნა, რომ პარლამენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა და დამტკიცება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბაგა-ბაღების საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევას ერთის მხრივ, და მეორეც-რადიკალურად გააუმჯობესებს ბავშვების სასკოლო განათლების ეტაპზე გადასვლის წინასწარი მომზადების ხარისხს, რაც საბოლოოდ უფრო მაღალი დონის სასკოლო განათლების მიღების გარანტია იქნება.

კომისიის სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის“დირექტორმა- ავ.მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ კანონის მიღება აუცილებელია, მაგრამ მისი მოთხოვნების შესრულება სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, სტანდარტების დაცვა დიდ მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს, რასაც, ალბათ, სახელმწიფო გაითვალისწინებს, რადგან მუნიციპალიტეტებს ერთნაირი ეკონომიკური შესაძლებლობები არ ააქვს. კანონის მიღების მნიშვნელობას ასევე, ხაზი გაუსვეს კომისიის წევრებმა ლ.სიჭინავამ და რ.სკამკოჩაიშვილმა.

გამგებლის მოადგილემ-გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ ძალიან რთული იქნება
მატერიალურ-ტექნიკური კუთხით ბაღებში სტანდარტების დაცვა.

კომისიის წევრებმა კომისიის მორიგ სხდომაზე განვიხილეთ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ მიერ გაწეული მუშაობისა და მომავალი ღონისძიებების თაობაზე“ დირექტორ ავ.სირბილაშვილის ინფორმაცია, რომელსაც მივეცით რეკომენდაცია, რომ მრავალფეროვან სპორტულ აქტივობებში გაითვალისწინონ გენდერული ასპექტიც.

როგორც კომისიის თასვმჯდომარემ მოკლე ინფორმაცია წარმოვადგინე შპს ,,მარულას“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. მიმოვიხილეთ შ.პ.ს „მარულას“ საქმიანობის ბოლო წლების შედეგები . კომისიამ სამართლიანად მიიჩნია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მისი ლიკვიდაციის შესახებ საკითხის დაყენება, თუნდაც
იმიტომ, რომ მისმა დავალიანებამ ჯარიმებისა და საურავების სახით შეადგინა 150 ათასი ლარი, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

კომისიის სხდომაზე კომისიის წევრმა, ფრაქცია“კოალიცია ქართული ოცნება-
რესპუბლიკელების“ თავმჯდომარემ-ვლ. ვადაჭკორიამ განაცხადა, რომ იმყოფებოდა მერიის
ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ე. წ. უსახლკაროთათვის აშენებულ სახლში,
დაათვალიერა პირველ სართულზე განლაგებული ორი ბინა, სადაც შესრულებული საამშენებლო სამუშაოები, მისი აზრით, უხარისხოდაა შესრულებული და მოითხოვა კომისიაში გამოიყოს სამუშაო ჯგუფი, რომელიც ადგილზე შეისწავლის მდგომარეობას.

მიმდინარე პერიოდში ასევე გავეცანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების და განათლების,

ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურების ანგარიშებს.ყველა მათგანის მათ მიერ გაწეული საქმიანობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

მიმდინარე წლის 28-31 მარტს მონაწილეობა მივიღე ქალაქ თბილისში გამართულ საკრებულოს ქალ წევრთა ფორუმში.

ქალთა პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების მოგვარების გზები, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება გენდერულ საკითხებთან მიმართებაში,
სამოქალაქო აქტივობა და ქალთა ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ამ თემებზე სამსჯელოდ შეიკრიბნენ აღმასრულებელი ხელისუფლების, საკანონმდებლო ორგანოს, ადგილობრივი თითმმართველობებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ფორუმის მონაწილებს პრეზენტაციის სახით გავაცანი ჩემი ხედვები, თუ როგორ უნდა გავხადოთ ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტები გენდერულად სენსიტიური.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია მომდევნო სხდომებზე გააგრძელებს სამუშაო გეგმით გათვალ;ისწინებულ,თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ, საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენას.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია